

**განმარტებითი ბარათი
კანონპროექტზე**

**საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების
შეტანის შესახებ**

ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა. ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებებით შემოღებული იქნება დადგმული სიმძლავრის ცნება და მასთან დაკავშირებული ურთიერთობების სამართლებრივი, კომერციული და ტექნიკური საკითხები. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით საჭიროა განისაზღვროს დაბეგვრის შესაბამისი ასპექტები საგადასახადო კოდექსში.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონთან საგადასახადო კოდექსის შესაბამისი ნორმის შესაბამისობაში მოყვანა, საკითხისადმი ერთიანი და სრულყოფილი მიდგომის ჩამოყალიბება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

შემოთავაზებული რედაქციით ზუსტად და სრულად განისაზღვრება რა შემთხვევაში ხდება ელექტროენერჯის და დადგმული სიმძლავრის მიწოდების დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით დაბეგვრა. დადგმული სიმძლავრე განიმარტა, როგორც საქონელი, რაც გამორიცხავს არაერთგვაროვან მიდგომებს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის გაფორმება არ მოითხოვს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის გაფორმება არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის გაფორმება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის გაფორმება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტით განისაზღვრება თუ რა შემთხვევაში ხდება ელექტროენერჯის და დადგმული სიმძლავრის მიწოდების დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით დაბეგვრა

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოხაკრებელი ან სხვა სახის გადასახადელი ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტით განისაზღვრება თუ რა შემთხვევაში ხდება ელექტროენერჯის და დადგმული სიმძლავრის მიწოდების დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით დაბეგვრა

გ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან კანონპროექტი შეესაბამება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს,

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ. კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სპეციალისტები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

კანონპროექტის პროექტზე დაინტერესებული უწყებების შეფასებები დადებითია.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია: საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო

კანონპროექტის ინიციატორია: საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი.